ყოველივე სიყვარულისთვის

სიყვარულის შესახებ

თუკი ადამიანები ერთმანეთში მეგობრობას კი არა, ვნებებს ეძებენ, მაშინ ეს ნებაყოფლობითი არჩევანი ერთმანეთისთვის სრულიად შეუფერებელ ადამიანებს შეჰყრის ხოლმე. ვნება ადამიანს უკარგავს საშუალებას, გააკეთოს სწორი არჩევანი. ფიზიკური ლტოლვა დასაშვებია მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც არის საჭირო სიცოცხლის შესანარჩუნებლად, გამრავლებისათვის.

თავშეუკავებელ ადამინებში ფიზიკური ლტოლვა შესაძლოა ისეთ შემზარავ ვნებებში გადაიზარდოს, რომ დაჩრდილოს ღმრთის რწმენა და გადაიქცეს **კერპთაყვანისმცემლობად**. მაგრამ ეს „თაყვანისცემაც“ თავის მოტყუებაა, რადგან ეთაყვანებიან არა ადამიანს, არამედ გრძნობას, რომელსაც ის აღანთებს. ყოველგვარი ვნება არის **უარყოფა** ღმრთისა და მცდელობა რაიმე კერპით მისი შეცვლისა. ამიტომ ნებისმიერი სიყვარული - იქნება ეს სიყვარული საკუთარი თავისადმი თუ მოყვასისადმი, - **ღმერთის მიმართ სიყვარულით უნდა მოწმდებოდეს.** ნებისმიერი საწადელი - ცალკე რელიგია, ანუ თვითგაღმერთების კულტია, რომელიც საკუთრივ არც არის რელიგია. ძველად წარმართებში ყველა საწადელს თავისი „ღმერთი“ ჰყავდა. მაგალითად, ოდითგანვე ცნობილია მომხვეჭელობის „ღვთაება“ - მამონა, ხოლო ბერძნებს სარფიანი მოგების „ღმერთად“ მერკური მიაჩნდათ, სიყვარულის „ღმერთებად“ - აფროდიტე და ეროსი, მხიარულებისა და დროსტარების „ღმერთად“ - დიონისე და ა.შ.

თუკი ადამიანში თუნდაც ერთი დაუოკებელი სურვილი არსებობს (არა აქვს მნიშვნელობა დაკმაყოფილებულია თუ არა), ის აუცილებლად უნდა ელოდეს ერთმანეთზე დამოკიდებულ **ვნებათა ჯაჭვს** და ასე უსასრულო ვნებათა მოძალებას. ასეთი ადამიანის სულში მუდამ **შინაომია** და ის ვერასოდეს ისვენებს, რადგან საკუთარი ვნებების მონად გაუხდია თავი. ვნებათა შორის კი ყველაზე საშინელი და გაუმაძღარი - ამპარტავნებაა და კაცს ეგოიზმის სულმოკლე, სულიერად მომაკვდინებელ ნაჭუჭში აქცევს, რაც, პრაქტიკულად, ნარცისისზმია...

ქორწინება თუნდაც იმიტომაა წმინდა - მადლმოსილი საიდუმლოება, რომ იგი არ წარმოადგენს მეუღლეთა მხოლოდ თავმოყვარეობასა და მხოლოდ საკუთარი თავისადმი სიყვარულს (შეფარულს სხვისადმი სიყვარულის). იგი არ იყენებს სხვას საკუთარ გემოვნებათა თუ ვნებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ გამოხატულებაა უსაზღვრო ერთგულებისა. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მეუღლეობრივი თანაცხოვრებიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ „სიყვარულისგან“ იცლება ზოგიერთი ადამიანი და განქორწინებისკენ ეწყება სწრაფვა - ფაქტი ცხადყოფს, რომ ჭეშმარიტად მეუღლეობრივი სიყვარულით მათ არც არასდროს ჰყვარებიათ ერთმანეთი, არამედ მხოლოდ იმ პერიოდამდე „უყვარდათ“, სანამ პირად სიამოვნებას ჰგვრიდა მათ ადამიანი, სანამ მათ მოთხოვნილებებსა და ე.წ. იდეალებს შეესაბამებოდა - სანამ აკმაყოფილებდა მეუღლე მათ სიყვარულს **საკუთარი თავისა** და **საკუთარი თავის მიმართ ხიბლიანობისადმი...** ამრიგად - ვნებათა და ცრუსიყვარულის საწყისი ყოველგვარი **სიცრუის მამისგან**, ეშმადან მომდინარეობს (ინ.8,44). ხოლო რამდენადაც გვიყვარს ღმერთი - იმდენადვე ჭეშმარიტი სიყვარულით ვართ გამსჭვალულნი მოყვასისა და ჩვენი მეორე ნახევრისადმი. იოანე ოქროპირი კი იმასაც ბრძანებს, რომ „(ჭეშმარიტად) შეყვარებულნი თავს ბედნიერად გრძნობენ, ოდეს ევნებიან შეყვარებულთათვის“ (ტ.11, 1905 წ. გვ.899).

ერთ-ერთი ფსიქოლოგი სიყვარულს სამგვარი ლოგიკით ხსნის. პირველის მოტივი ასეთია“ „მე შენ მეყვარები, თუკი (იქნები ასეთი და ასეთი...)“. მეორის - „მე შენ მიყვარხარ იმიტომ, რომ (ხარ ასეთი და ასეთი...)“. მესამისა კი - „მე შენ მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ ...“. სწორედ ასეთი - უპირობო, არაეგოისტური, უანგარო და წრფელი სიყვარული გვაახლოვებს ქრისტიანებს ერთმანეთთან და ღმერთთან, რის გაღრმავებასა და განმტკიცებასაც უნდა ვესწრაფოთ ცხოვრების მანძილზე.

ერთ-ერთი თეოლოგი შემდეგნაირად მსჯელობს ჭეშმარიტი სიყვარულის შესახებ: „ადამიანი ამ სოფლად ზნეობრივი გმირობისთვის არის მოვლენილი, და ამისთვის, უმეტეს შემთხვევაში, დამხმარე ესაჭიროება. სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი მიზანი ქორწინებისა და ამ მიზანზე თავად უფალმა მიგვითითა (დაბად. 2,18). ჭეშმარიტი მეუღლეობა არის ერთობა არა

იმდენად ხორცთა, რამდენადაც სულთა. ცოლქმრულ ცხოვრებაში ერთმანეთისადმი და-ძმურ ურთიერთობასაც უნდა ვესწრაფოთ თანდათანობით. ეს მართლაც ღვთაებრივი მისწრაფებაა, რადგან ასეთი ცხოვრება ღმერთის სასუფევლის დარად არის აგებული, სადაც არ ქორწინდებიან, არამედ ცხოვრობენ ვითარცა ანგელოსნი.“

„(საიდუმლო) ქორწინება საღმრთო წერილის მიხედვით წარმოადგენს ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატს (ეფეს. 5,22-33). ქრისტიანული ქორწინების მეშვეობით ხორციელდება მეუღლეთა განუწყვეტელი ურთიერთთანადგომა თავიანთი დანიშნულების აღსრულებისათვის და იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას „მსგავსება“ უფლის ხატისა“ - განმარტებულია **კანონიკურ სამართალში** (პანაიოტის ი.ბუმისი, გვ. 100).

მოციქული კი ქალის სულიერად გადარჩენისთვის შესახებ ბრძანებს: **„სცხონდება შვილთასხმით, თუ იდგება რწმენაში, სიყვარულსა და სიწმინდეში კდემამოსილებით“** (1 ტიმ. 2,15). ხოლო ერთი თეოლოგი ასეთ კომენტარს უკეთებს ცოლქმრული სიყვარულის მნიშვნელობას: „ადამიანები ხორციელი ტკბობისათვის არ უნდა ქორწინდებოდნენ, ამიტომ ხორციელი სიყვარულის გაქრობა სულაც არ უნდა ქმნიდეს საფუძველს მათი განქორწინებისათვის. როცა ესა თუ ის წყვილი ხორციელი სიამოვნების გამო ქორწინდება, ორივენი ცოდვას სჩადიან და ასეთი ქორწინება „დაკანონებულ“ უსჯულოებად იქცევა. წმინდა სიყვარული მაშინ იბადება, როდესაც საწადელი არსებისადმი ლტოლვა - თანაგრძნობასა თუ სიბრალულში გადაიზრდება და სხვისი კეთილდღეობის გამო, ადამიანი უარს ეუბნება საკუთარ სურვილებს (იოანე 13,34). ხოლო თუ ქორწინება ჭეშმარიტ სიყვარულზე არაა დაფუძნებული - იგი არამარტო მოყვასისადმი, არამედ ღმრთისადმი ღალატიცაა...“

ფიზიკური ლტოლვა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ვნება, მხოლოდ **ილუზიას** გვაძლევს სიყვარულისას, ასეთი ვნებების დროს „უყვართ“ ისევე, როგორც ღორმუცელას - სმა-ჭამა, მუცელ-ღმერთობა; ძუნწს - ფული, პატივმოყვარეს - თანამდებობა, ქონება, ჩინ-მენდლები და სხვა. ისევე როგორც ადამიანის უკვდავი სული, სიყვარული - მარადიული ფასეულობაა! სიყვარულისთვის საჭიროა, სული სულს შეერთოს და მასში შევიდეს. სიყვარულისას - ადამიანს ადამიანში, **უპირველეს ყოვლისა,** უყვარს **უკვდავი სული** ამ ქმნილებისა. ამიტომაც შეგვახსენებს მოციქული, რომ „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება“ ერთმანეთისაგან განუყრელი ცნებებია და რომ სიყვარული „თავისას არ ეძებს... ყოველივეს იტანს... ყოველივეს ითმენს“ (გალ. 5,22; 1 კორ. 14,4-7). წმინდა სიყვარული არის **უარის თქმა საკუთარ „მე“-ზე** და მზადყოფნა სხვის არსებაში „განხორციელებისთვის“. ჩვენ არ გვყოფნის უნარი, გადავიდეთ სხვის არსებაში და მისი სიხარულითა და მწუხარებით ვიცხოვროთ. სიყვარული - ეს არის საკუთარი თავის დავიწყება სხვაში. უფალი ბრძანებს: „მკვდრეთით აღდგომისას არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან, არამედ არიან ვითარცა ანგელოზნი ცაში“ (მარკ.12,25). მიმტევებლობა, თანაგრძნობა და გულმოწყალება - სიყვარულის **თანამდევი** ამაღლებული თვისებებია... ჭეშმარიტი სიყვარულით აღსავსე ადამიანი გულში არ ინახავს ცხოვრებისეულ ბნელ წუთებს, არამედ მხოლოდ ნათელი მოგონებები აქვს ჩარჩენილი მეხსიერებაში. ასეთი შემწყნარებლური სიყვარული კი არ სუსტდება და ქრება, არამედ მტკიცდება; დროის ანაბეჭდი ნაოჭნი და ღარებიც კი **სრულებით ვერ** ანელებს საყვარელი არსებისადმი მეუღლეობრივ სიყვარულს.

როგორც ვხედავთ, ხორციელი სიყვარული - გარეგნული ერთობაა, ხოლო წმინდა სიყვარული - შერწყმაა შინაგანი, წარუვალი.... წმინდა სიყვარული აუქმებს სიყვარულის მდაბალ სახეობებს, ისინი აღარ ხდებიან საჭირონი, ისევე როგორც აღარ არის საჭირო სანთელი, ოდეს მზე ამოდის.

წმ. იოანე ოქროპირის (54,265-266) სიტყვით შეგახსენებთ მეუღლეთა სიყვარულის გაღრმავების იმ პრაქტიკულ საკითხს, რომელიც მიწიდან ზეცამდე აღყვანების **უმთავრესი** ნაბიჯია. „თუკი სახლში რაიმე ძალზე სამწუხარო მოხდება ცოლის მიზეზით, ანუგეშე იგი, დაამშვიდე, და ნუკი განუმრავლებ მწუხარებას. თუნდაც რომ მთელი ქონება დაკარგო, ეს არ იქნება იმაზე უფრო სამწუხარო, რასაც თანამეცხედრისადმი მტრობა, სიძულვილი წარმოადგენს; რა დანაშაულიც არ უნდა წარმოიდგინო, არაფერი არ იქნება ცოლთან განხეთქილებაზე უფრო აუტანელი. ამიტომ, დაე, მისადმი შენი სიყვარული იყოს ყველაზე ძვირფასი რამ შენთვის. თუკი ჯერ-არს, ერთურთის სიმძიმილნი ვიტვირთოთ, ცოლისა ხომ მეტადრე!... ის ხომ შენი არსების ნაწილია, თქვენ ხომ ერთ-ხორც ხართ!...“.

წმ. მამებზე დაყრდნობით, მინდა სიყვარულის კიდე ერთი საიდუმლო გაგიზიაროთ: ჩვენი სიყვარული შესაძლოა ღრმა და გულწრფელი იყოს კეთილდღეობისას, მაგრამ არასდროსაა იგი ისეთი ძლიერი, როგორც შეჭირვებისა და მწუხარების ჟამს, რამეთუ მაშინ **იწრთობა** სიყვარული, ისევე როგორც ფოლადი იწრთობა და ოქრო იწმინდება ცეცხლში, და იხსნება ყველა დაფარული საუნჯე ადამიანის გულში. ამ ყოველივეს მიუხედავად ქმრებს უნდა ახსოვდეთ იმ უზენაესი არსისადმი სიყვარული, ვინც შეჰქმნა და მოგვგვარა ცხოვრებისეული შემწე მსგავსისაებრი. ვისაც ვალდებულება აკისრია, იზრუნოს საყვარელ მეუღლეზე, ქონება-მამულზე და შვილებზე, ვინც ცხოვრების უვრცეს ზღვას მიაპობს, იმას ღმერთის უფრო მეტი შეწევნა ესაჭიროება, და ამის საპასუხოდ - თავადაც **უფრო მეტად უყვარს ღმერთი** (წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, 16, 60).

მოძღვრება ქორწინების შესახებ

წმ. ამბროსი მედიოლანელის აზრით, საჭიროა მამაკაცმა ცხოვრების მომავალ მეგობარში ეძებოს სულიერი ღირსებები და არა სილამაზე, რადგან ქმარს იმდენად გარეგნობა არ ატკბობს, რამდენადაც სიკეთე.

იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ ქალი თხოვდება იმისათვის, რათა ეზიაროს ცხოვრებას, მოუაროს სახლს, მიაჩვიოს ქმარი წესიერებას და არა ვნებების აშლას. ქორწინების მიზანია - მეუღლეების სულიერ-ზნეობრივი თვისებების სრულყოფა და მათი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარება ურთიერთგაზიარების მეშვეობით.

საქორწინო კავშირს არ უნდა შთაედოს დედის ხორციელი ვნება. ეს აზრი თავისთავად გამომდინარეობს იმ სიტყვებიდან, რასაც წმ. იოანე ოქროპირი ამბობს ფიზიკურ ელემენტზე, როგორც ცოლქმრობის მეორე ხარისხოვან მომენტზე. გარდა ამისა - უნდა ითქვას, რომ **გულის რჩეულის** სილამაზითა და სხვა გარეგნული ნიშნებით აღძრული წუთიერი ვნება ფარავს ქალის ნამდვილ ღირსებებს და ამიტომ - ბუნებრივი იქნება, თუ ასეთი შეუღლება ბედნიერი არ გამოდგება. ჭეშმარიტი სილამაზე, რაც იზიდავს ადამიანის გულს, მდგომარეობს სულიერ ღირსებებში და მათ გარეშე არც ხორციელ სილამაზეს გააჩნია რაიმე ფასი. ხორციელი სილამაზის სიყვარული - სიმწარით არის გაჯერებული. სულიერი სილამაზის სიყვარული კი, პირიქით, - დაკავშირებულია ჭეშმარიტ, აუმღვრეველ სიტკბოებასთან... ლამაზმა გარეგნობამ მოგხიბლა? - ეცადე, გაიგო მისი შინაგანი ბუნებაც, და თუ იქ სილამაზის ნატამალი ვერ დაინახე, გარეგნობითაც დაიწუნე.

ცოლი არის ქმრის სხეული - ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. როცა სხეულის რომელიმე ნაწილი აგტკივა - მას კი არ ვიჭრით, არამედ ვმკურნალობთ. ასევე უნდა მოვექცეთ ცოლსაც. მას რომ რაიმე ნაკლს შევნიშნავთ - კი არ უნდა გავეყაროთ, არამედ ამ ნაკლის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ. ეს იმას გულისხმობს რომ ცოლი გვიყვარდეს ისე, როგორც საკუთარი თავი, ვინაიდან ქმარი და ცოლი ერთი სხეულია, სადაც პირველი თავია და მეორე კი - ტანი.

ოჯახში ქალის მდგომარეობას ოქროპირი ასე განსაზღვრავს: ცოლი, რომელსაც ოჯახში მეორე ადგილი უკავია, მოვალეა დაემორჩილოს ქმარს, როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს. ცოლი მეორე საწყისია; მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ქმართან გათანაბრება, რადგან თავის, ანუ მეთაურის ქვეშ დგას. წმ. მოციქული ქმარს იმისათვის აღაზევებს, რომ მშვიდობა იყოს. სამართლიანია, რომ ცოლი ემორჩილება ქმარს, რადგან თანასწორობის შემთხვევაში მტრობა გაჩნდებოდა". საერთო მოსაზრების გარდა, ქმრის პირველობას ისიც ასაბუთებს, რომ პირველად მამაკაცი შეიქმნა, ქალმა კი ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება, უფრო სწორად, თანასწორი პატივდება, და სამოთხეში დაარღვია ღვთის პირველი მცნება. ამ ცოდვამ შეცვალა ქალის მდგომარეობა ცოლქმრულ კავშირში. თუმცა იგი დაბადებისთანავე არ ყოფილა ქმარს დამორჩილებული, უბრალოდ იყო მამაკაცის ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მაგრამ, როგორც კი შესცოდა და დამხმარედან - მაცდურად გადაიქცა, გაიგონა სიტყვები: „ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე" (დაბ. 3,16).

ხშირია თანამედროვე ოჯახთა დაშლის შემთხვევები და ამის მიზეზი - ქორწინების მიმართ არასულიერი დამოკდებულებაა.

წმ. ერმისი უდანაშაულო მეუღლეებს ურჩევს - ლმობიერებითა და მზრუნველობით იმოქმედონ დამნაშავე მხარის ზნეობრივ გრძნობაზე, და თუ შემცდარი ცოლი მოინანიებს,

დაიბრუნოს იგი, ოღონდ ეს გააკეთოს მხოლოდ ერთხელ, რადგან „**ერთია მონანიება მონისათვის ღვთისა**“.

ერმისი ცოლგაყრილ ქმარს ურჩევს, მეორედ არ იქორწინოს და დაელოდოს მეუღლის მონანიებას. როცა წმ. ერმისი ამბობს, „ერთია მონანიებაო“, ეს ნიშნავს, რომ უდანაშაულო მეუღლეს მეორედ ქორწინება ეკრძალება მანამ, სანამ არსებობს დამნაშავის გამოსწორების იმედი, მაგრამ იმედი თუ ამაო გამოდგა, მაშინ უდანაშაულო მხარეს უფლება აქვს, ხელახლა იქორწინოს“.

ათენაგორას თქმით, საქორწინო კავშირის მიზანი არის ბავშვის დაბადება, თუმცა არა მთავარი მიზანი. ქრისტეანობაში ცოლქმრობის უზენაეს და მთავარ საფუძვლად მიჩნეულია მამაკაცსა და ქალს შორის ზნეობრივი კავშირის დამყარება, რათა ისინი დაეხმარონ ერთმანეთს ზნეობრივი სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე.

წმ.თეოფილეს აზრითაც ქორწინება ბავშვის დაბადების მიზნით მეორე ხარისხოვანია, რომელსაც ცოლქმრული კავშირის ფიზიკური მხარის მხოლოდ ბუნებრივ გამოვლინებად მიიჩნევს. იგი უარყოფითად აფასებს მეორე ქორწინებას, როგორც ცოლქმრობის არსის საწინააღმდეგო მოვლენას და გმობს შობადობის მიზნით შეკრულ არაერთჯერად ცოლქმრულ კავშირებს. მართალია, ქორწინებაში აღიარებულია ფიზიკური მხარის მნიშვნელობა, მაგრამ მისი დაკმაყოფილება უნდა ხდებოდეს მკაცრი თავშეკავების, წესიერებისა და სისუფთავის ჩარჩოებში, თანაც მხოლოდ საკუთარ მეუღლესთან. ყველანაირი სწრაფვა - თუნდაც ეს ფიქრში ხდებოდეს - სხვისი ცოლისადმი ან სხვისი ქმრისადმი, სასტიკად იგმობა.

კლიმენტი ალექსანდრიელი თავის ცნობილ თხზულებაში „სტრომატების“ მესამე თავში, მოუწოდებს ქალებს, თავი დაიფასონ არამარტო კდემითა და უბიწოებით (1ტიმ.11,9;2 პეტრ. 11,3), არამედ საოჯახო საქმითაც. მამაკაცებს კი მიმართავს: „ნუ გადააქცევთ ცოლებს საყვარლებად, ცოლქმრობის მიზნად ნუ დაისახავთ მხოლოდ ხორციელ სიამოვნებას! მთელი ცხოვრების განმავლობაში ცოლი მეგობრად მიგაჩნდეთ და იცოდეთ თავშეკავების ფასი... დააკვირდით, როგორ იქცევა მიწადმოქმედი - ის პურეულის თესლს ზომიერი რაოდენობით ყრის მიწაში. ესე იგი, ცოლქმრობასაც უნდა გაუფრთხილდეთ და დაიცვათ ყოველგვარი ბიწიერებისაგან“. მისი აზრითაც, საქორწინო კავშირის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ადამიანური ბუნების უმაღლესი ზნეობრივი მხარე - ტრფობის ამაღლებული გრძნობა და ის დიდი ერთგულება, რაც იბადება ურთიერთსიყვარულით გამსჭვალულ ცოლ-ქმარს შორის.

ამგვარად - ქრისტიანული ქორწინებით დაკავშირებული ქალი და მამაკაცი ეხმარებიან ერთმანეთს ცხოვრებისეული მიზნების მიღწევასა და ზნეობრივ სრულყოფაში. ერთის პიროვნებასა და ხასიათს, ავსებს მეორის პიროვნება და ხასიათი, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს მათი სულიერი ძალების **ჰარმონიულ** განვითარებას. „წმიდა წრილი უდიდეს სიბრძნედ მიიჩნევს იმას, რომ ღმერთმა კაცს ცოლი მისცა შემწედ და შესაფერად (დაბ. 2,20). აქედან გამომდინარეობს ქალის მოვალეობა და მიზანი. ქმართან ურთიერთობაში წარმოშობილ უსიამოვნებებს ის უნდა უპირისპირებდეს გონებას - ძლიერ და, ამავე დროს, სანდო საშუალებას, მაგრამ თუ ქმარი ყურს არ უგდებს მის სიტყვებს, მაშინ ქალს მართებს რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავი მოიზღუდოს ცოდვისაგან...“

კლიმენტი ალექსანდრიელის სწავლებით ქორწინება სრულყოფილია, თუ ცოლ-ქმარი ემორჩილება უფლის ნებას (ტომ. IV, გვ.5), თუ მათ ურთიერთობაში სუფევს გულწრფელობა და სრული ნდობა.

ქრისტიანული აზრით ქორწინება ეწოდება მხოლოდ პირველ ცოლქმრობას. ამასთან, ჭეშმარიტი ქორწინება არის ისეთივე, როგორიც ქრისტესა და ეკლესიის კავშირი - ერთიანი და დაურღვეველი.

კლიმენტი ალექსანდრიელი მიიჩნევს, რომ „მეორე ქორწინება ერთ-ერთი განტევებულის სიცოცხლეში მრუშობას (“moixeia”) ნიშნავს... ვინც განტევებული ქალი შეირთო - მანაც იმრუშაო, გვეუბნება წმიდა წერილი, ვინაიდან ვინც ცოლი გაუშვა - ისიც მრუშობას ეწევა (“moixeTaiauten”), იმდენად, რამდენადაც ქალს აიძულებს იმრუშოს („ananka Zei moixe Tenai“). არამარტო გამშვები, მიმღებიც დამნაშავეა, რადგან მას ეს ქალი რომ არ მიეღო, თავის ქმართან დაბრუნდებოდა“.

„ეკლესიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, წერს ორიგენე, - ქალებს ნება დართო, გათხოვილიყვნენ ქმრის სიცოცხლეში, მაშინ, როცა წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ქალი რჯულითაა შეკრული, სანამ ცოცხალია იმისი ქმარი“ (1 კორ, 39). და კიდევ: „თუ ქმრის სიცოცხლეში სხვას გაჰყვება, მეძავად იწოდება“ (რომ. 7,3).

რა მიზეზითაც არ უნდა ხდებოდეს გაყრა, ორიგენე მას ადამიანური უძლურების გამართლებად მიიჩნევს და ამბობს, რომ ეს საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ღვთის ჭეშმარიტ განგებულებას და წმიდა წერილის მოძღვრებას.

წმ. ბასილი დიდი ამბობს: მეუღლეები, თუ ისინი მართლა სიყვარულით არიან შეერთებულნი, გმირულად უნდა იტანდნენ ერთმანეთის უხასიათობებს და კეთილ ურთიერთგავლენებზეც უნდა ფიქრობდნენ. ქმრის სიმკაცრე და „ველური ქცევები“ არ უნდა გახდეს ქორწინების დარღვევის მიზეზი. „შლეგია? - სამაგიეროდ ქმარია. ლოთია? - სამაგიეროდ, ბუნებითადაა შეუღლებული. უხეშია და თავნება? - სამაგიეროდ უკვე შენი ნაწილია და თანაც ერთ-ერთი ძვირფასი ნაწილი“. თხზულებაში „ექუსთა დღეთათვის“ ბასილი დიდს მაგალითად მოჰყავს იქედნე, რომელიც „ცოლქმრობას პატივს სცემს და შხამს წინასწარ ანთხევს“. ნუთუ ქრისტიანს ცოლქმრობისადმი იმხელა პატივისცემა არ გააჩნია, რომ ცოტა ხნით მაინც დაძლიოს თავისი გულქვაობა და არაადამიანობა?

ცოლისა და ქმრის ურთიერთვალდებულებებს წმ. ბასილი დიდი წმიდა წერილის მიხედვით განსაზღვრავს: ქმარს უნდა უყვარდეს ცოლი, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია (ეფეს. 5,25), ცოლი კი ისე უნდა დაემორჩილოს ქმარს, როგორც უფალს (ეფეს. 5, 22-24). ამ პირობებით ცოლ-ქმრის ზნეობრივი კავშირი ისეთი მყარი უნდა იყოს, რომ იგი სიკვდილმაც კი ვერ უნდა დაარღვიოს.

ქორწინებაში ქმარი და ცოლი თანაბარნი არიან და სრულიად ერთნაირი უფლებები ენიჭებათ. ვინაიდან შესაქმის წიგნში ვკითხულობთ: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1,27), მაგრამ სადაც ბუნება ერთია, იქ მოქმედებაც ერთია, თუ საქმე მსგავსია, ჯილდოც მსგავსია... ბუნების ერთიანობის დროს ქმრის ერთადერთი უპირატესობა ისაა, რომ პირველობას ფლობს გვარში.

თუ ამ ზოგად დებულებას მივუსადაგებთ კერძო შემთხვევას - ცოლქმრული ერთგულების ღალატს, ბუნებრივია, წმიდა მამა ერთნაირი სიმკაცრით განსჯის როგორც ქმრის, ასე ცოლის მრუშობას. თუმცა, ამ დანაშაულის განხილვისას ბასილი დიდი ბერძნულ-რომაული სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისს ადგას. მისი განმარტებით, მრუშობა არის ცოლქმრობაში სამართლის ისეთი დარღვევა, რომელიც მხოლოდ ქმარს მიეწერება, სიძვა კი მისგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს არა სხვა ქმრის უფლებების დარღვევა, არამედ ვნებების დანაშაულებრივი გზით დაკმაყოფილება. ცოლის წინაშე მრუშობის დანაშაული ქმარს მხოლოდ მაშინ ეთვლება, როცა იგი ყოველგვარი მიზეზის გარეშე არღვევს ქორწინებას და სხვა ცოლს ირთავს.

ეს განმარტება წმიდა მამას საეკლესიო სამართლის სფეროში გადმოაქვს და ამბობს: „თუ ქმარი, რომელიც ცხოვრობდა ცოლთან, მიატოვებს მეუღლეს და სიძვაში ჩავარდება, ის უკვე დამნაშავეა და იმსახურებს ხანგრძლივ ეპიტემიას. თუმცა უფლება არ გვაქვს, რომ მას მრუშობის ბრალდება წავუყენოთ, რადგან ცოდვა ქორწინების დარღვევის შემდეგ ჩაიდინა... თუ სიძვაში მყოფი ქმარი განაგრძობდა ცოლთან თანაცხოვრებას, მაშინ ცოლმა ქმარი იმ შემთხვევაში უნდა დაიბრუნოს, თუ ის სიძვაზე უარს იტყვის. თუ ცოლმა შესცოდა, ქმარმა ის სახლიდან უნდა გაუშვას. წეს-ჩვეულებებით ასეა მიღებული.“ მე-9 წესში წმ. ბასილი ადგენს: „უფლის ბრძანება - „ვინც გაუშვებს თავის ცოლს სიძვის მიზეზის გარეშე, ამრუშებს მას, და ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს“ (მათთე 5,32), - თანაბრად ავალდებულებს ქმარსაც და ცოლსაც, მაგრამ წეს-ჩვეულება ცოლებს აიძულებს მოითმინონ, როცა ქმრები სიძვაში ვარდებიან... ხოლო თუ ცოლმა უღალატა ქმარს, ან თუნდაც სხვას მისთხოვდა, ქალს ეს მრუშობად ეთვლება. მიტოვებული ქმარი კი, პირიქით, თანაგრძნობას იმსახურებს და არც მისი სარეცელის გამზიარებელ ქალს გმობენ.“

ამასთან დაკავშირებით წმ. **გრიგოლ ღვთისმეტყველი** ამბობს, რომ ცოლქმრობასთან ქრისტესა და ეკლესიის მაღალი ურთიერთობის პირველხატის დაკავშირება არავის აძლევს უფლებას, შებღალოს ქრისტიანობის აღმსარებელი ცოლის ზნეობრივი ღირსება. „ცოლს ქმრისაგან განასხვავებს არა სული, არამედ მხოლოდ სხეული“.

ამონარიდი საქართველოს საპატრიარქოს კრებულიდან